საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1420 2016 წლის 18 ივლისი ქ. თბილისი

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის №964 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის №964 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) მესტიის მუნიციპალიტეტს 343 400 (სამას ორმოცდასამი ათას ოთხასი) ლარი, კერძოდ:

ე.ა) 2015-2016 წლებში მომხდარი სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით - 103 400 (ას სამი ათას ოთხასი) ლარი;

ე.ბ) მესტიის მუნიციპალიტეტში კატასტროფებთან დაკავშირებით პრევენციული ღონისძიებების, კერძოდ, დაბა მესტიაში არსებული

„ლეხთაგის ღელის“ კალაპოტის და ღორღდამჭერების მოწყობის სამუშაოების განხორციელების მიზნით - 240 000 (ორას ორმოცი ათასი) ლარი;“.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი